საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA

# ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციური (COVID-19) დაავადებისთვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმა

თბილისი

2020

# ამონარიდი

**მუხლი 7. აკადემიის ტერიტორიაზე პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკული მეცადინეობების და შეფასების პროცესის ორგანიზება**

7.1 აუდიტორიაში მაგიდების განლაგებისას დაცულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დადგენილი დისტანცია;

7.2 დაუშვებელია აკადემიის სივრცეში  პირის გადაადგილება დამცავი ნიღბის გარეშე;

7.3 დაუშვებელია პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მაგიდების განთავსება იმგვარად, რომ აღმოჩნედნენ ერთმანეთის პირისპირ;

7.4 აკადემიის ტერიტორიაზე პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკული მეცადინეობების ან შეფასების პროცესის ორგანიზება ხორციელდება  ცვლებში მუშაობის რეჟიმით;

7.5 ყოველი ცვლის შემდგომ გამოიყენება სანიტარული შესვენება, რა დროსაც მიმდინარეობს ამ დოკუმენტის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის მე-2 ქვეპუნქტით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელება;

7.6 საგამოცდო დარბაზის შესასვლელში განთავსებულია ხელის დეზინფექტატი, რომელშიც განთავსებულია სადეზინფექციო სითხე ან არანაკლებ 70% ალკოჰოლის შემცველი ხელის გამწმენდი სითხე და შესაბმისი მიმნიშნებელი.

**მუხლი 8. აკადემიის ტერიტორიაზე პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა, პერსონალისა და ვიზიტორის ვალდებულებები**

აკადემიის ტერიტორიაზე პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა, პერსონალისა და ვიზიტორი ვალდებულია დაემორჩილოს აკადემიის მიერ დადგენილ წესებს, რისთვისაც ვალდებულია:

8.1 დაიცვას ჰიგიენის წესები;

8.2 გამოიყენოს სწორად და სრულად მოცემული ადგილისთვის რეკომენდებული ინდივიდუალური დაცვის საშუალებები;

8.3 ჩაიტაროს ხელების ჰიგიენა (სპირტის შემცველი ხელის საწმენდი საშუალებების გამოყენება იმ შემთხვევაში, როცა ვერ ხერხდება ხელების დაბანა. ხილული დაბინძურების, ან ბიოლოგიური სითხეების მოხვედრისას ხელების წყლითა და საპნით დაბანა სავალდებულო წესით);

8.4 მოერიდოს ხელებით თვალებზე, ცხვირზე და პირზე შეხებას. მუშაობის პერიოდში უზრუნველყავით თმის შეკვრა/მჭიდროდ დამაგრება, რათა მაქსიმალურად შეიზღუდოს თმების სახის ზედაპირთან შეხება (შესაძლებელია ჩაჩის, ან სპეციალური თავსაბურავის გამოყენება).